

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი № 96

19 ივნისი 2025 წ.

ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

მოწვეული სტუმარი:

თბილისის მერიის საფინანსო საქალაო სამსახურის წარმომადგენელი - ლევან მიქავა
სსიპ ქონების მართვის სააგენტო-სერგო ბირკაძე, ნესტორ ლაბარტყავა.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ლევან არველაძე,

კომისიის წევრები- ლევან დავითაშვილი, თამარ ჩახვაშვილი, ნინო ვარდოსანიძე, მიხეილ კაკაურიძე,
ალექსანდრე ხუჯაძე.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია.

სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან არველაძე

დღის წესრიგი:

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება. **საკრ.№12-032516961-03 18/06/2025**
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების, შემოსავლების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ. (№11-0125170645 **საკრ.№15-032517088-03 19/06/2025**)
3. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ქებურიას დასახლებაში, კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.018.01.569) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“. **საკრ.№12-032515353-03 2/06/2025**
4. „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, მე-4 მიკრორაიონის კორპუს N29-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.08.003.002.01.071) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“. **საკრ.№12-032515353-03 2/06/2025**
5. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.076.01.501) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **საკრ.№12-032515348-03 2/06/2025**
6. „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.004.012.01.718) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **საკრ.№12-032515348-03 2/06/2025**
7. „ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, მე-4 მიკრორაიონის კორპუს N93ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.002.053.02.501) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **საკრ.№12-032516046-03 9/06/2025**
8. „ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგალის ქუჩა N25-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.04.004.002) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **საკრ.№12-032516711-03 16/06/2025**

9. „ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი N261-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.016.014.01.032) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **საკრ.№12-03251692-03 18/06/2025**

10. ქალაქ თბილისში, ზურა ავალიშვილის ქ. N12-ში მდებარე N163 ბინის და N164 ბინის (საკადასტრო კოდები: N01.14.14.005.197.01.03.163; N01.14.14.005.197.01.03.164) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე . **საკრ.№12-032514025-03 20/05/2025**

11. ქალაქ თბილისში, ზურა ავალიშვილის ქ. N12-ში (ბლოკი „ც“) პირველ საცხოვრებელ სართულზე მდებარე N166 ბინის (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.197.01.03.166) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე . **საკრ.№12-032515352-03 2/06/2025**

12. ქალაქ თბილისში, ზურა ავალიშვილის ქ. N12-ში მდებარე N180 ბინის (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.197.01.03.180) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე **საკრ.№12-032515346-03 2/06/2025**

13. ქალაქ თბილისში, ჩიქოვანის ქუჩა N36-ში მდებარე, N01.10.17.023.001.01.01.033, N01.10.17.023.001.01.01.032 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციისთვის“ (ს/ნ 405185400) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032515350-03 2/06/2025**

14. ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N18, კორპუსი N2-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.34.002.250) პირდაპირი განკარგვის წესით ემზარ ილურიძისთვის (პ/ნ 01024009833) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032515349-03 2/06/2025**

15. ქალაქ თბილისში, გვეტაძის ქუჩა N8-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.05.012.042) პირდაპირი განკარგვის წესით მალხაზ ცუცქერიძისთვის (პ/ნ: 01017009056) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032515347-03 2/06/2025**

16. ქალაქ თბილისში, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 86 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.033.934) და 66 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.033.936) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თ და კ რესტორნებისთვის“ (ს/ნ 204909180) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032515344-03 2/06/2025**

17. ქალაქ თბილისში, ანა კალანდაძის ქ. N16-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.018.072) პირდაპირი განკარგვის წესით ნინო ხითარიშვილისთვის (პ/ნ 01021010879) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-03251618-03 10/06/2025**

18. ქალაქ თბილისში, მარტავას ქუჩა N42-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.036) 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით მზია გაგომიძისთვის (პ/ნ 01024002077) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საკრ.№12-032515345-03 2/06/2025

19. ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზირი N31-41-ის მიმდებარედ არსებული 193 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.026.024) 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ფაჰად აფხალისთვის (პ/ნ: 34602-5511803-7; C/N: BU1518033) და აიმა დანიელისთვის (პ/ნ: 42301-5644909-4; CN: BB9859092) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის გადაცემის შეთანხმების თაობაზე.

საკრ.№12-03251681-03 17/06/2025

20. ქ. თბილისში, აბანოს ქუჩა N15/6-ში არსებული 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.063.061) პირდაპირი განკარგვის წესით თამაზ ლონდარიძისთვის (პ/ნ: 01027000350) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-03251681-03 17/06/2025**

21. ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქ. N39-ის მიმდებარედ არსებული 21 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.048.036) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კალა უბანი ჰოსფიტალითისთვის“ (ს/ნ: 404737148) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032516049-03 9/06/2025**

22. ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N20-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.008.037) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ღვინაძე და პარტნიორებისთვის“ (ს/ნ: 205294545) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საკრ.№12-032516910-03 18/06/2025

23. ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი N4-ში მდებარე 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.17.011.057) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „4 პეკინისთვის“ (ს/ნ 404883337) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-03251695-03 18/06/2025**

24. ქალაქ თბილისში, გრიგოლ რობაქიძის გამზირი N7გ-ში მდებარე 93 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.04.004.088) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გრინ თაუნ დეველოპმენტისთვის“ (ს/ნ 402050588) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-03251693-03 18/06/2025**

25. ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N75-79-ის მიმდებარედ არსებული 1074 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.04.013.051) 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იათამშე ვერულაშვილისთვის (პ/ნ 01008004718) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-03251691-03 18/06/2025**

26. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, გიორგი აბაშიშვილის ქუჩა N9-ის მიმდებარედ არსებული 4 813 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.19.004.118) და ქალაქ თბილისში, აბაშიშვილის ქუჩა N7-ის მიმდებარედ არსებული 343 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.19.19.004.110) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე. **საკრ.№12-032516912-03 18/06/2025**

27. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში არსებული 966 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.13.023.036) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე. **საკრ.№12-032516911-03 18/06/2025**

28. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ია ოთარაშვილს (პ/ნ: 01017039663) შორის, 2021 წლის 14 აპრილს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-579-9-26137 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032516713-03 16/06/2025**

29. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „გრანდ თაუერს“ (ს/ნ 405269891) შორის 2021 წლის 29 დეკემბერს გაფორმებულ „ქ. თბილისში, იოანე პეტრიწის ქუჩის ბოლოს მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.06.001.263 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2010 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. **საკრ.№12-032515626-03 5/06/2025**

30. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალმას“ (ს/ნ: 204873388) შორის 2020 წლის 18 ივნისს გაფორმებულ „ფეხით გადასასვლელი ხილების მშენებლობის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების შესახებ

საკრ.№12-032516450-03 13/06/2025

31. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ნ.გ.ბ.“-ს (ს/ნ: 405193678) შორის 2024 წლის 24 ივლისს გაფორმებული „ქალაქ თბილისში შპს „ათორის“ (ს/ნ: 405077633) და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ მშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებული პირების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების კონკურენტული პერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „ნ.გ.ბ.“-ის გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032516449-03 13/06/2025**

32. ქალაქ თბილისში, ლადო გუდიაშვილის მოედანი N7/ბეგლარ ახოსპირელის ქ. N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.03.052.001) მდებარე ფართების პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „დამოუკიდებელი კინო

პროექტისთვის“ (ს/ნ 405378167) თხოვნის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032516456-03 13/06/2025**
დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება.

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2025 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების (45 650,0 ათასი ლარი) გამოყენების, მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლებისა და მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, კერძოდ: იზრდება მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობა დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 700,0 ათასი ლარით, ხოლო სხვა შემოსავლების ნაწილში მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 800,0 ათასი ლარით და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (შემოსავლები კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ ჩანაცვლების ხელშეწყობისთვის) - 15 000,0 ათასი ლარით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება სულ 62 150,0 ათასი ლარით და შეადგენს 2 271 497,5 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგებების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები.

აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის: იზრდება გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები – 4 000,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) – 500,0 ათასი ლარით, გზების მოვლაშეკეთება ნაძალადევის რაიონში (კოდი 01 01 09) – 1 200,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 01 01 10) – 600,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 01 01 11) – 165,0 ათასი ლარით, გზების მოვლაშეკეთება ვაკის რაიონში (კოდი 01 01 12) – 800,0 ათასი ლარით, გზების მოვლაშეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) – 1 600,0 ათასი ლარით, გზების მოვლაშეკეთება სამგორის რაიონში (კოდი 01 01 15) – 1 000,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში (კოდი 01 01 16) – 950,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) – 800,0 ათასი ლარით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) – 2 000,0 ათასი ლარით, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) - პროგრამის ასიგნებები - 2 000,0 ათასი ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) - 10 850,0 ათასი ლარით, ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი 02 07) – 3 000,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) ქვეპროგრამის ასიგნებები – 450,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) – 1 200,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) – 550,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) – 600,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) – 300,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) – 1 200,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) – 1 300,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისი რაიონში (კოდი 02 09 18) – 250,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) – 600,0 ათასი ლარით, გამწვანების ღონისძიებების (კოდი 03 01) პროგრამის ასიგნებები – 2 000,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) ქვეპროგრამის ასიგნებები – 1 700,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში (კოდი 05 01 09) – 300,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში (კოდი 05 01 10) – 400,0

ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) – 450,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი 05 01 12) – 1 300,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში (კოდი 05 01 13) – 1 950,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში (კოდი 05 01 14) – 925,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი 05 01 15) – 500,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (კოდი 05 01 16) – 200,0 ათასი ლარით, გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტებისა და კვლევების დაფინანსება (კოდი 06 01 05) – 800,0 ათასი ლარით, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია (კოდი 06 01 06) – 100,0 ათასი ლარით, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 07) – 300,0 ათასი ლარით, ტრანსპლანტაცია (კოდი 06 01 13) – 500,0 ათასი ლარით, სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (კოდი 06 02 09) – 500,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 16 08) – 250,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 16 10) – 60,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 16 12) – 150,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ისნის რაიონში (კოდი 06 02 16 13) – 70,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 16 16) – 100,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07) – 350,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 18 08) – 240,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 18 09) – 150,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 18 10) – 225,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 18 11) – 150,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 06 02 18 13) – 230,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 18 14) – 200,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 18 15) – 100,0 ათასი ლარით, პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფა (კოდი 06 02 27) – 700,0 ათასი ლარით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) – 3 000,0 ათასი ლარით, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) – 2 800,0 ათასი ლარით, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) – 232,0 ათასი ლარით, პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა (კოდი 07 04) პროგრამის ასიგნებები – 800,0 ათასი ლარით, ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრის (კოდი 08 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 70,0 ათასი ლარით, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 02) პროგრამის ასიგნებები - 14,0 ათასი ლარით, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) ქვეპროგრამის ასიგნებები – 953,6 ათასი ლარით, საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი" (კოდი 08 04 01) – 44,0 ათასი ლარით, ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა პატრონობა (კოდი 08 04 03) – 27,7 ათასი ლარით, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) – 60,4 ათასი ლარით, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 05) პროგრამის ასიგნებები - 900,0 ათასი ლარით, სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) – 2 900,0 ათასი ლარით, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) – 400,0 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 08 11 02) – 60,0 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 08 11 03) – 100,0 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 08 11 07) – 100,0 ათასი ლარით, თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი (კოდი 08 12) პროგრამის ასიგნებები – 9,6 ათასი ლარით, ინკლუზიური ხელოვნებისა და განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 13) – 50,0 ათასი ლარით, ქ.თბილისის საკრებულო (კოდი 10 01) – 1 500,0 ათასი ლარით, ისნის რაიონის გამგეობა (კოდი 10 33) – 75,0 ათასი ლარით. ამასთან, ბიუჯეტით დამტკიცებული

პროგრამების/ქვეპროგრამების ჩამონათვალს ემატება ახალი ქვეპროგრამა - რევმატოიდული ართრიტის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 10) – 300,0 ათასი ოდენობით.

მცირდება შემოქმედებითი თბილისის (კოდი 08 09) პროგრამის ასიგნებები -

61,3 ათასი ლარით და თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა (კოდი 10 47) – 3 000,0 ათასი ლარით.

გარდა ამისა, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) ქვეპროგრამის ფარგლებში, გაიზარდა ა(ა)იპ მუზეუმების გაერთიანების მომუშავეთა რიცხოვნობა 5 ერთეულით, ხოლო ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 02) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მომუშავეთა რიცხოვნობა მცირდება 18 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში შემცირდა 13 ერთეულით და განისაზღვრა 4957 ერთეულით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 014 077,0 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 257 420,6 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 934 077,0 ათასი ლარის ოდენობით, აქედან:

გადასახადები 987 349,2 ათასი ლარი, მათ შორის: გრანტები 595 513,2 ათასი ლარი; სხვა შემოსავლები 351 214,6 ათასი ლარი.

წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 2 271 497,5 ათასი ლარით, ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 181 392,3 ათასი ლარით.

არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 397 357,5 ათას ლარს, მათ შორის: - არაფინანსური აქტივების ზრდა – 477 357,5 ათასი ლარი. - არაფინანსური აქტივების კლება – 80 000,0 ათასი ლარი. ფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს (257 420,6) ათას ლარს, მათ შორის: ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენება) – 257 420,6 ათასი ლარი. ვალდებულებების ცვლილება შეადგენს (41 455,3) ათას ლარს, რაც მთლიანად ვალდებულებების კლებაა.

მომხრე-6 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: .ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების, შემოსავლების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ.

ლევან მიქავას მოხსენებით რაიონული გამგეობების წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ხდება წლიური და კვარტალური ცვლილებები პროგრამების/ქვეპროგრამებში.

იზრდება წლიური გეგმა „გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში“ (პროგ/კოდი 01 01 12) -200 000 ლარით. გამგეობა გეგმავს ჯ.კორძაიას ქუჩის მოწყობა-რეაბილიტაციას. გარდა ამისა, მოქალაქეთა მოთხოვნიდან გამომდინარე ვაკის რაიონის გამგეობა, გამგეობის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში ქვეპროგრამაში (კოდი: 02 09 14) ფარგლებში, გეგმავს ვაკის რაიონის ტერიტორიაზე არსებული სკვერების (ჭავჭავაძის 50; პოლიტკოვსკაიას 9; ნუცუბიძის მე-5 მიკრორაიონის მე-8 კორპ; ყიფშიძის 10) კაპიტალურ შეკეთებას, ასევე რაიონის ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედნების (ვაჟა ფშაველა მე-7 მე-3 კორპუსი; ნუცუბიძის მე-4 24-ე კორპუსი; ნუცუბიძის მე-3 მიკ. მე-3 კორპუსი) კაპიტალურ შეკეთებას, რისთვისაც დამატებით გვესაჭიროებათ 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარი.

ამ მიზნით, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური არ არის წინააღმდეგი 2025 წლის ბიუჯეტის 01.01.01 პროგრამიდან „გზების მშენებლობა და აღდგენა“ 200 000 ლარი და 02.01.01 პროგრამიდან „საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების პროექტირება, მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია“ 1 მლნ ლარი გამოყენებულ იქნას ვაკის რაიონის გამგეობის ფინანსურ რესურსად.

ლევან მიქავას განმარტებით, გლდანის რაიონის გამგეობის მიერ, „კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში“ (კოდი 02.09.10) ქვეპროგრამის ფარგლებში (მუხლი 2.8.2.2. - კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული) ეტლიანი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დამოუკიდებელი სარგებლობისათვის, სპეციალური დახრილკუთხოვანი გადაადგილებადი პლატფორმის (ლიფტი) შეძენა-მონტაჟისა და მოსამზადებელი სამუშაოების შესყიდვის მიზნით, გამგეობის მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი ჯერ გასაჩივრდა, ხოლო შემდგომ, ტენდერში მონაწილე ოთხი პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის გამო დასრულდა უარყოფითი შედეგით. აღნიშნული მოწყობილობა დღემდე არ არის შესყიდული, ხოლო ამ მიზნით, ბიუჯეტით გათვალისწინებული მიმდინარე პერიოდის რესურსი (84000,00 ლარი) რჩება აუთვისებელი. აღნიშნული თანხა მე-2 კვარტალში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სკვერების მოწყობის სამუშაოების დასაფინანსებლად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმდინარე პერიოდის რესურსი მე-2 კვარტალში (მუხლი 2.8.2.2. - კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული) მცირდება 84000 ლარით შემდგომში მე-4 კვარტალში აღდგენით, ხოლო ამავე ქვეპროგრამაში (მუხლი 31- არაფინანსური აქტივების ზრდა) გაიზარდოს 84000 ლარით, შემდგომში მე-4 კვარტალში შემცირებით.

მომატებული მომართვიანობიდან გამომდინარე იზრდება ასევე მეორე კვარტლის გეგმა “ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში” (პროგ/კოდი 05 01 12) – 500 000 ლარით და „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში” (პროგ/კოდი 05 01 11)- 100 000 ლარით. თანხის გადმოტანა ხდება ,მეოთხე კვარტლიდან, ხოლო ქვეპროგრამიდან „გზების მოვლა შეკეთება ნაძალადევის რაიონში (პროგ/კოდი 01 01 09)- 250 000 ლარი გადადის მეორე კვარტლიდან მეოთხე კვარტალში.

საერთო ჯამში გადასახდელების მეორე კვარტლის გეგმა იზრდება 373 072 ლარით. დაბალანსება ხდება შემოსავლების მეორე კვარტლის გეგმის შემცირებით და ნაშთის ცვლილებით.

მომხრე-6 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების შემოსავლების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური, ასევე ვაკის, გლდანის, ნაძალადევის და ჩუღურეთის რაიონული გამგეობები ითხოვენ მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს: “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ქებურიას დასახლებაში, კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.018.01.569) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“..

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ბესარიონ ქებურიას დასახლებაში, კორპუს N3-ში, პირველ სართულზე არსებული 40.63 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.018.01.569) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა ერთ პირს (ოჯახს), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ აღნიშნული პირი მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2010 წლიდან, ამავე დროს განცხადებით თანხმობას აცხადებს N01.19.25.002.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობის ფაქტობრივი მდგომარეობის ან/და ავარიულობის ხარისხის მიუხედავად აღნიშნულ შენობაში ფართის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

მომხრე-6 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ქუბურის დასახლებაში, კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.018.01.569) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, დიდი დიდმის დასახლებაში, მე-4 მიკრორაიონის კორპუს N29-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.08.003.002.01.071) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, დიდი დიდმის დასახლებაში, მე-4 მიკრორაიონის კორპუს N29-ში, მე-9 სართულზე არსებული ბინა N71-ი ფართით 91.69 კვ.მ (საკადასტრო კოდი: N01.10.08.003.002.01.071) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 1 პირს(ოჯახს), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ აღნიშნული პირი ძმასთან და შვილთან ერთად დაახლოებით 2003 წლიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხრე-6 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: „ქალაქ თბილისში, დიდი დიდმის დასახლებაში, მე-4 მიკრორაიონის კორპუს N29-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.08.003.002.01.071) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.076.01.501) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში, პირველ სართულზე არსებული 17.71 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.076.01.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 1 პირს (1 ოჯახს), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ აღნიშნული პირი შვილებთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2011 წლიდან.

მომხრე-6 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.076.01.501) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.004.012.01.718) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N2-ში, შენობა N1-ში, მე-7 სართულზე არსებული ბინა N718-ი ფართით 26.62 კვ.მ (საკადასტრო კოდი: N01.12.07.004.012.01.718) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 1 პირს(ოჯახს), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული ბმა-ს კრების ოქმით დასტურდება, რომ აღნიშნული პირი მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2012 წლიდან.

მომხრე-6 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.004.012.01.718) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, მე-4 მიკრორაიონის კორპუს N93ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.002.053.02.501) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, მე-4 მიკრო/რაიონი N93ა-ში, პირველ სართულზე არსებული 63.44 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.11.12.002.053.02.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 1 პირს(1 ოჯახს), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ აღნიშნული პირი შვილებთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2007 წლიდან.

მომხრე-6 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: „ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, მე-4 მიკრორაიონის კორპუს N93ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.002.053.02.501) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგალის ქუჩა N25-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.04.004.002) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგალის ქუჩა N25-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.04.004.002) არსებული უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები საკუთრებაში გადაეცემა 2 პირს (2 ოჯახს) , რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 45.37 კვ.მ ფართი.

შსს-ს ცნობებით და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმით დასტურდება, რომ აღნიშნული პირები მითითებულ მისამართზე ცხოვრობენ 1992- 2010 წლებიდან.

მომხრე-6 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: „ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგალის ქუჩა N25-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.04.004.002) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი N261-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.016.014.01.032) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი N261-ში, შენობა N1-ში, მე-2 სადაბრაშოში, მესამე სართულზე არსებული ბინა N32-ი ფართით 37.80 კვ.მ (საკადასტრო კოდი: N01.18.13.016.014.01.032) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 1 პირს(ოჯახს), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ ლევან ჩიტაური დაახლოებით 28 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხრე-6 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: „ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი N261-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.016.014.01.032) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ზურა ავალიშვილის ქ. N12-ში მდებარე N163 ბინის და N164 ბინის (საკადასტრო კოდები: N01.14.14.005.197.01.03.163; N01.14.14.005.197.01.03.164) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე .

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-სა და N5დ-ში მდებარე, N01.14.14.003.143 და N01.14.14.003.102 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ტერიტორია წარმოადგენს დაუსრულებელ მშენებლობას, რომელიც წლების განმავლობაში მოუგვარებელი პრობლემაა ამ მშენებლობით დაინტერესებული პირებისთვის. ეს მშენებლობა ითვალისწინებდა გარკვეულ პირთა საცხოვრებლებით დასაკმაყოფილებლად მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენებას. მშენებლობის მწარმოებლად განისაზღვრა შპს „ამირანი“ (ს/ნ: 208153996), რომლის მიერ განსახორციელებელი სამშენებლო ღონისძიებები

გაჭიანურდა. შემდგომ პერიოდში მიღებული, მუნიციპალური ორგანოების და სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებების საფუძველზე, აღნიშნულ კომპანიასთან გაფორმდა ხელშეკრულებები, რომლებიც, ამ დაუსრულებელი ობიექტის ნაწილში ითვალისწინებდა მშენებლობის გაგრძელების და მისი დასრულების ვალდებულებას. კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, ხელშეკრულებები მოიშალა და მშენებარე ობიექტი დარჩა დაუსრულებელ მდგომარეობაში. დღეისათვის, ობიექტში რეგისტრირებულია როგორც ფიზიკურ პირთა საკუთრებაში არსებული ფართები, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის და შპს „ამირანის“ (ს/ნ: 208153996), საკუთრებად რეგისტრირებული ფართები.

მშენებლობის დასრულებით დაინტერესებულ პირთა ინტერესების გათვალისწინებით, დღევანდელი მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის შემთხვევაში სასურველი იქნებოდა აღნიშნული ობიექტის დასრულება, თუმცა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 8 ნოემბრის N16-0123312454 წერილობითი პოზიციის მიხედვით, ზემოაღნიშნული საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების მიმდებარედ არსებული ინტენსიური/მჭიდრო განაშენიანების გათვალისწინებით, ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება და მისი კიდევ უფრო გამჭიდროება არ არის მიზანშეწონილი. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, ქალაქის განვითარების პროცესში პრიორიტეტულია მოწესრიგებული ინფრასტრუქტურული გარემოს არსებობა და უზრუნველყოფა. შესაბამისად, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ს მიმდებარედ არსებული ინტენსიური მრავალბინიანი განაშენიანებისა და გადატვირთული საგზაო ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, საპროექტო ტერიტორია შესაძლებელია ჩაითვალოს არაოპტიმალურ სამშენებლო ობიექტად.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაძლებლობის ფარგლებში, იმ პირთა მიმართ, ვისთვისაც მისაღებია მათთვის შეთავაზებული ალტერნატიული ფართები, განიხილება სანაცვლოდ სხვა საცხოვრებელი უძრავი ქონების გადაცემის საკითხი.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, 04.03.25წ. განცხადებით მიმართა ყიფშიძის ქ. N5ბ-ში რეგისტრირებული 122 კვ.მ. ბინის (ს/კ: N01.14.14.003.143.01.042) თანამესაკუთრებმა - მაია ყიფშიძემ, გიორგი ყიფშიძემ, ზვიად ყიფშიძემ და აღნიშნული ბინის თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ, ითხოვეს ქ. თბილისში, ზურა ავალიშვილის ქ. N12-ში მდებარე N163 ბინის და N164 ბინის (საკადასტრო კოდები: N01.14.14.005.197.01.03.163; N01.14.14.005.197.01.03.164) თანასაკუთრებაში გადაცემა.

სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით, აღნიშნულ პირთა თანასაკუთრებაში არსებული 122 კვ.მ ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.01.042) საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 476166 (ოთხას სამოცდათექვსმეტი ათას ას სამოცდაექვსი) ლარის ოდენობით; თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ბინების (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.197.01.03.163; N01.14.14.005.197.01.03.164) საბაზრო ღირებულება, განისაზღვრა 236236 (ორას ოცდათექვსმეტი ათას ორას ოცდათექვსმეტი) ლარის და 236236 (ორას ოცდათექვსმეტი ათას ორას ოცდათექვსმეტი) ლარის ოდენობით (ჯამურად: 472472 ლარი).

განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით აღნიშნულ პირთათვის სიმბოლურ ფასად - 1 ლარად თანასაკუთრებაში გადაცემას და მათ ფართზე მათი საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.

მომხრე-6 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისში, ზურა ავალიშვილის ქ. N12-ში მდებარე N163 ბინის და N164 ბინის (საკადასტრო კოდები: N01.14.14.005.197.01.03.163; N01.14.14.005.197.01.03.164) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ზურა ავალიშვილის ქ. N12-ში (ბლოკი „ც“) პირველ საცხოვრებელ სართულზე მდებარე N166 ბინის (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.197.01.03.166) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, წარმოდგენილი საკითხი წინა საკითხის ანალოგიურია. ამ შემთხვევაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, 14.03.24წ. განცხადებით მიმართა ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებარე ობიექტში რეგისტრირებული 85.1 კვ.მ. ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.01.032) მესაკუთრემ - ხათუნა ძამაშვილმა და აღნიშნული ფართის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ ითხოვა ქ. თბილისში, ვალენტინ თოფურიძის II შესახვევი, N1-ში მდებარე N46 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.10.10.020.170.01.01.502) და ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლება, ზემო პლატო, N152 სკოლის

მიმდებარედ მდებარე N54 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.19.20.005.034.01.01.054) საკუთრებაში გადაცემა. აღნიშნულ N54 ბინაზე (საკადასტრო კოდი: N01.19.20.005.034.01.01.054) რეგისტრირებულია ვალდებულება, ობიექტის მშენებელ სუბიექტსა და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე და ითვალისწინებს შემდეგს: „ხელშეკრულების 4.9 და 4.10 პუნქტების თანახმად, „ხელშეკრულების“ მოქმედების პერიოდში მყიდველს უფლება არა აქვს გამყიდველთან შეთანხმების გარეშე ქონება გასცეს სარგებლობაში ან სხვაგვარად დატვირთოს“. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 19.04.2024წ. N61-01241103290 წერილით, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს პოზიცია ეთხოვა აღნიშნულ ფართზე ამ ვალდებულების გაუქმების შესახებ. ხსენებული უწყების 23.04.2025წ. N4/23136 წერილით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს პასუხად ეცნობა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ვერ იმსჯელებს საჯარო რეესტრის შესაბამის ჩანაწერში რეგისტრირებული ვალდებულებების გაუქმების საკითხზე“.

ხათუნა ძამაშვილმა, 19.03.2025წ. განცხადებით მომართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, აღნიშნული ვალდებულების არსებობის გათვალისწინებით მიუღებლად მიიჩნია N54 ბინა (ს/კ: N01.19.20.005.034.01.01.054) და ყიფშიძის ქ. N5ბ-ში რეგისტრირებული ბინის თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ, N01.10.10.020.170.01.01.502 და კოდი: N01.19.20.005.034.01.01.054 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ბინების ნაცვლად ითხოვა ქალაქ თბილისში, ზურა ავალიშვილის ქ. N12-ში („ც“ ბლოკი) 1 საცხოვრებელ სართულზე მდებარე 61.90 კვ.მ N166 ბინის (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.197.01.03.166) საკუთრებაში გადაცემა.

ზემოაღნიშნული 08.05.23წ. N003045023 დასკვნის მიხედვით, აღნიშნული პირის საკუთრებაში არსებული ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.01.032) საბაზრო ღირებულება, 2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით შეადგენს 332145.3 ლარს (სამას ოცდათორმეტი ათას ას ორმოცდახუთი ლარი და ოცდაათი თეთრი). სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 11.02.2025წ. N000765525 დასკვნით, იგივე თარიღის მდგომარეობით შეფასებულია ქალაქ თბილისში, ზურა ავალიშვილის ქ. N12-ში (ბლოკი „ც“) 1 საცხოვრებელ სართულზე მდებარე 61.90 კვ.მ N166 ბინა (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.197.01.03.166) და მისი საბაზრო ღირებულება, 2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით განისაზღვრა 318537 (სამას თვრამეტი ათას ხუთას ოცდაჩვიდმეტი) ლარის ოდენობით.

აღნიშნული ბინების შეფასებასთან და მათ საბაზრო ღირებულებებთან დაკავშირებით, ხათუნა ძამაშვილმა დამატებით მომართა 24.04.2025წ. განცხადებით (რეგისტრ. 19/01251142071-61) და აღნიშნა, რომ არ აქვს პრეტენზია ბინების საბაზრო ღირებულებებთან და მათ შორის არსებულ სხვაობასთან დაკავშირებით.

განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით აღნიშნული პირისთვის სიმბოლურ ფასად - 1 ლარად საკუთრებაში გადაცემას და მის ფართზე მისი საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.

მომხრე-6 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: „ქალაქ თბილისში, ზურა ავალიშვილის ქ. N12-ში (ბლოკი „ც“) პირველ საცხოვრებელ სართულზე მდებარე N166 ბინის (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.197.01.03.166) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ზურა ავალიშვილის ქ. N12-ში მდებარე N180 ბინის (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.197.01.03.180) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, აღნიშნული საკითხიც წარმოადგენს ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-სა და N5დ-ში მდებარე, N01.14.14.003.143 და N01.14.14.003.102 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ტერიტორიის დაუსრულებელ მშენებლობით გამოწვეულ პრობლემას. ამ შემთხვევაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, განცხადებით მიმართეს ყიფშიძის ქ. N5ბ-ში რეგისტრირებული 105 კვ.მ. ბინის (ს/კ: N01.14.14.003.143.02.001) თანამესაკუთრებად რეგისტრირებულმა პირებმა: თამარ ჯავახიშვილმა, ქურციკ ამირეჯიბმა , მალვა ამირეჯიბმა და თანხმობა განაცხადეს, აღნიშნული ბინის თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ, თანასაკუთრებაში გადაეცეთ ქ. თბილისში, ზურა ავალიშვილის ქ. N12-ში მდებარე 84.40 კვ.მ N180 ბინა (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.197.01.03.180).

განცხადებით აღნიშნეს, რომ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ბინის და მათთვის გადასაცემი ბინის საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობას გადაიხდიან ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვის ვადაში.

აღნიშნულ პირთა თანასაკუთრებაში არსებული 105 კვ.მ ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.02.001) საბაზრო ღირებულება, 2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით განისაზღვრა 409815 (ოთხას ცხრა ათას რვაას თხუთმეტი) ლარის ოდენობით; სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 11.02.2025წ. N000765525 დასკვნით, იგივე თარიღის მდგომარეობით შეფასებულია თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ბინა (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.197.01.03.180) და მისი საბაზრო ღირებულება, 2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით განისაზღვრა 434322 (ოთხას ოცდაათოთხმეტი ათას სამას ოცდაორი) ლარის ოდენობით.

განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით აღნიშნულ პირთათვის თანასაკუთრებაში გადაცემას ზემოხსენებულ, ერთი და იგივე თარიღის მდგომარეობით დადგენილ ღირებულებებს შორის სხვაობის ოდენობით (24507 ლარი) განსაზღვრული საპრივატიზებო საფასურით და საპრივატიზებო პირობებით - მათ ფართზე მათი საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობით.

მომხრე-6 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისში, ზურა ავალიშვილის ქ. N12-ში მდებარე N180 ბინის (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.197.01.03.180) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ჩიქოვანის ქუჩა N36-ში მდებარე, N01.10.17.023.001.01.01.033, N01.10.17.023.001.01.01.032 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციისთვის“ (ს/ნ 405185400) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს წლის 2025 წლის 24 მარტის N19-01251203567-01 განცხადებით მიმართა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციის“ (ს/კ: 405185400) თავმჯდომარემ ლია ტაბატაძემ და ითხოვა ქალაქ თბილისში, ჩიქოვანის ქუჩა N36-ში არსებული ბინა N33-ის ფართით 60 კვ.მ-ის (ს/კ: 01.10.17.023.001.01.01.033) და ქალაქ თბილისში, ჩიქოვანის ქუჩა N36-ში არსებული 93 კვ.მ ფართის ბინა N32-ის (ს/კ: N01.10.17.023.001.01.01.032) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა, ა(ა)იპ „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციის“ ფუნქციონირების მიზნით. როგორც განცხადებაშია აღნიშნული ფართების გადაცემის შემთხვევაში, შემდეგი 2 წლის განმავლობაში დაგეგმილია თბილისში მცხოვრები ახალი თაობის 20-მდე დაუნის სინდრომის მქონე ახალგაზრდების გადამზადება თვითადვოკატებად, უკვე არსებული თვითადვოკატების ჩართულობით. ასევე, იგეგმება დასაქმების მხარდაჭერის პროგრამა რომელიც შექმნილია ორგანიზაციის გამოცდილებასა და პრაქტიკაზე დაყრდნობით, ვინაიდან დღემდე ურთულესი საკითხია ინტელექტუალური შშმ პირების დასაქმება. პროგრამა მოიცავს ოთხ საფეხურს რომელიც დასაქმებაში და პროფესიულ ცხოვრებაში დაეხმარებათ. აღნიშნულ პროგრამაში ამჟამად ჩართულია 3 თბილისში მცხოვრები 20 მოზარდი, რომლებიც პრაქტიკას გადიან სოციალურ საწარმოებში და სხვადასხვა მეგობარ კომპანიებში. შემდეგ წლებში ასევე იგეგმება 20-30 მოზარდის ჩართვა პროგრამაში და 15 კომპანიის თანამშრომლების უსასყიდლოდ გადამზადება.

მომხრე-6 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისში, ჩიქოვანის ქუჩა N36-ში მდებარე, N01.10.17.023.001.01.01.033, N01.10.17.023.001.01.01.032 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციისთვის“ (ს/ნ 405185400) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N18, კორპუსი N2-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.34.002.250) პირდაპირი განკარგვის წესით ემზარ ილუზიძისთვის (პ/ნ 01024009833) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N18, კორპუსი 2-ის (საკადასტრო კოდი: N01.19.34.002.015) მიმდებარედ 5 კვ.მ მიწის ნაკვეთი იჯარით გადაეცემა ემზარ ილუზიძეს, კიბის და პანდუსის მოწყობის მიზნით, 5 წლით. აღნიშნული პირის საკუთრებაშია ხსენებულ კორპუსში არსებული ფართი (საკადასტრო კოდი: N01.19.34.002.015.01.500).

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემა. ასევე სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოც არ არის აღნიშნული მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის წინააღმდეგი. განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემას, კიბის და პანდუსის მოწყობის მიზნით, 5 (ხუთი) წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 720 ლარის ოდენობით.

მომხრე-6 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N18, კორპუსი N2-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.34.002.250) პირდაპირი განკარგვის წესით ემზარ ილუზიძისთვის (პ/ნ 01024009833) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გვეტაძის ქუჩა N8-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.05.012.042) პირდაპირი განკარგვის წესით მალხაზ ცუცქერიძისთვის (პ/ნ: 01017009056) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქ. თბილისში, გვეტაძის ქუჩა N8-ის მიმდებარედ 6 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.13.05.012.042) იჯარით გადაეცემა მალხაზ ცუცქერიძეს, კიბის ფუნქციონირების მიზნით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. თბილისის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 2 ბრძანების საფუძველზე, მითითებული უძრავი ქონება მპს „ექსპოგრაფს“ (ს/ნ:204488081)(აღნიშნული ორგანიზაციის ერთ-ერთ მესაკუთრეს წარმოადგენდა მალხაზ ცუცქერიძე) გადაცემული ჰქონდა სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 14 წლის ვადით, მის საკუთრებაში არსებულ ფართში (ს/კ: 01.13.05.012.020.01.002) შესასვლელი კიბის ფუნქციონირების მიზნით. ამასთან, მოცემულ მიწის ნაკვეთზე, დღევანდელი მდგომარეობით მოწყობილია განმცხადებლის საკუთრებაში არსებულ ფართში შესასვლელი კიბე. განმცხადებელმა თანხმობა განაცხადა როგორც წლიური საიჯარო ქირის გადახდაზე, ასევე, იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული სარგებლობის ვადის გასვლის დღიდან ახალი იჯარის ხელშეკრულების გაფორმებამდე პერიოდისთვის იჯარის საგნით ფაქტობრივად სარგებლობის საფასურის გადახდაზე.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემას, 5 (ხუთი) წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 864 (რვაას სამოცდაოთხი) ლარის ოდენობით.

მომხრე-6 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: “ქალაქ თბილისში, გვეტაძის ქუჩა N8-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.05.012.042) პირდაპირი განკარგვის წესით მალხაზ ცუცქერიძისთვის (პ/ნ: 01017009056) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე”, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 86 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.033.934) და 66 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.033.936) პირდაპირი განკარგვის წესით მპს „თ და კ რესტორნებისთვის (ს/ნ 204909180) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 86 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.10.13.033.934) და 66 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.10.13.033.936) განმეორებით, იჯარის ფორმით გადაეცემა მპს „თ და კ რესტორნებს“ (ს/ნ 204909180), ღია კაფესთვის, 5 წლის ვადით. აღნიშნული კომპანიის საკუთრებაშია სპორტის სასახლის მიმდებარე უძრავი

ქონება (საკადასტრო კოდი: 01.10.13.033.024). აღნიშნული მიწის ნაკვეთები, იჯარით იყო გადაცემული აღნიშნული კომპანიისთვის, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 28.01.2020წ. ბრძანებებით, 2025 წლის 25 იანვრამდე ვადით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური არ არის აღნიშნული მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის წინააღმდეგი, მხოლოდ მსუბუქი მაგიდა და სკამების განთავსებით, ყოველგვარი შემომზღუდავი ელემენტების გარეშე.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 86 კვ.მ და 66 კვ.მ მიწის ნაკვეთების აღნიშნული კომპანიისთვის იჯარით გადაცემას, 5 წლის ვადით, საერთო წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 45600 ლარის ოდენობით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 28.01.2020წ. ბ61.012002814 და 07.07.2020წ. ბ61.01201892 ბრძანებებით განსაზღვრული იჯარის ვადის გასვლის დღიდან ამ განკარგულების პროექტის საფუძველზე იჯარის გაფორმებამდე პერიოდში აღნიშნული 86 კვ.მ და 66 კვ.მ მიწის ნაკვეთების ფაქტობრივად სარგებლობისთვის გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების გათვალისწინებით.

მომხრე-6 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისში, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 86 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.033.934) და 66 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.033.936) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თ და კ რესტორნებისთვის (ს/ნ 204909180) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე,“საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ანა კალანდაძის ქ. N16-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.018.072) პირდაპირი განკარგვის წესით ნინო ხითარიშვილისთვის (პ/ნ 01021010879) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ანა კალანდაძის ქ. N16-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.10.13.018.072) იჯარით გადაეცემა, გიორგი ფუტყარაძეს, კიბის და პანდუსის მოწყობის მიზნით, მის საკუთრებად რეგისტრირებული ბინისთვის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.018.003.01.008).

მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნულ პირს სურს პირველ სართულზე არსებული ბინის რეკონსტრუქცია და მასზე აღნიშნული ობიექტის მოწყობა. ასევე აღინიშნა, რომ ბინის ქვეშ არსებული სარდაფის (ს/კ: N01.10.13.018.003.08.500) (რომლის ფრამუგაც გამოდის ტროტუარის მხარეს და რომელთანაც ეწყობა კიბე და პანდუსი) მესაკუთრე არის გიორგი ფუტყარაძის მამა, რომელიც ასევე თანახმაა კიბის და პანდუსის მოწყობაზე. სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის წინააღმდეგი.

შესაძლებლად მიაჩნია მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემა, სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურსაც.

განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემას ნინო ხითარიშვილისთვის, 2 (ორი) წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 864 ლარის ოდენობით.

მომხრე-6 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: „ქალაქ თბილისში, ანა კალანდაძის ქ. N16-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.018.072) პირდაპირი განკარგვის წესით ნინო ხითარიშვილისთვის (პ/ნ 01021010879) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, მარტავას ქუჩა N42-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.036) 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით მზია გაგოშიძისთვის (პ/ნ 01024002077) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, მარტავას ქუჩა N42-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.036) 3 კვ.მ მიწის ნაკვეთი იჯარით გადაეცემა, კიბის ფუნქციონირების მიზნით, 5 წლით მზია გაგოშიძეს. აღნიშნული პირის საკუთრებაშია მიმდებარე კორპუსში

არსებული ფართი (საკადასტრო კოდი: 01.10.13.012.008.01.501). განმცხადებელი იჯარის უფლებით ფლობდა 6 კვ.მ მიწის ნაკვეთს, სააგენტოს 13.05.2011წ. ბრძანების საფუძველზე, 2024 წლის 20 ოქტომბრამდე და მასზე განთავსებულია ორი კიბე. მზია გაგომიძემ, კიბისთვის მოითხოვა 3 კვ.მ მიწის ნაკვეთი. თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს 6 კვ.მ ნაკვეთზე განთავსებული ერთი კიბის დემონტაჟს.

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის მოთხოვნილი 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის წინააღმდეგი.

სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემა, ასევე - არსებული კიბის დემონტაჟი, იმ პირობით, თუ დაცული იქნება ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მოთხოვნები.

განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემას, 5 (ხუთი) წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 432 ლარის ოდენობით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 13.05.2011წ. N01-4/173 ბრძანებით განსაზღვრული იჯარის ვადის გასვლის დღიდან ამ განკარგულების პროექტის საფუძველზე იჯარის გაფორმებამდე პერიოდში 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის ფაქტობრივად სარგებლობისთვის გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების გათვალისწინებით

მომხრე-6 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისში, მარტავას ქუჩა N42-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.036) 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით მზია გაგომიძისთვის (პ/ნ: 01024002077) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისში, დ.აღმაშენებლის გამზირი N31-41-ის მიმდებარედ არსებული 193 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.026.024) 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ფაქტად აფხალისთვის (პ/ნ: 34602-5511803-7; C/N:BU1518033) და აიმა დანიელისთვის (პ/ნ: 42301-5644909-4; CN:BB9859092) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის გადაცემის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქ. თბილისში, დ.აღმაშენებლის გამზირი N31-41-ის მიმდებარედ არსებული 193 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.026.024) 10 კვ.მ მიწის ნაკვეთი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. ფაქტად აფხალის და აიმა დანიელს.აღნიშნულმა პირებმა თანხმობა განაცხადეს წლიური საიჯარო ქირის 2 400 (ორი ათას ოთხასი) ლარის გადახდაზე.

მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, წარმოდგენილია სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილობითი დადებითი პოზიცია.

წარმოდგენილი პროექტით, შესათანხმებლად წარმოდგენილია, ფაქტად აფხალისთვის და აიმა დანიელისთვის იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, უძრავი ქონების: ქ. თბილისში, დ.აღმაშენებლის გამზირი N31-41-ის მიმდებარედ არსებული 193 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.026.024) 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის, 5 წლის ვადით გადაცემის საკითხი. წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება 2 400 (ორი ათას ოთხასი) ლარით.

მომხრე-6 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქ. თბილისში, დ.აღმაშენებლის გამზირი N31-41-ის მიმდებარედ არსებული 193 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.026.024) 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ფაქტად აფხალისთვის (პ/ნ: 34602-5511803-7; C/N:BU1518033) და აიმა დანიელისთვის (პ/ნ: 42301-5644909-4; CN:BB9859092) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის გადაცემის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისში, აბანოს ქუჩა N15/6-ში არსებული 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.063.061) პირდაპირი განკარგვის წესით თამაზ ლონდარიძისთვის (პ/ნ: 01027000350) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქ. თბილისში, აბანოს ქუჩა N15/6-ში არსებული 1 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.18.03.063.061) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა თამაზ ლონდარიძეს, კონდენციონერის აგრეგატის განთავსების მიზნით. საჯარო რეესტრიდან წარმოდგენილი ამონაწერის მიხედვით, თამაზ ლონდარიძის საკუთრებაშია ქ.თბილისში, აბანოს ქუჩა N13-ში არსებული N01.18.03.063.043.01.504 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 24.70 კვ.მ უძრავი ქონება. აღნიშნულმა პირმა თანხმობა განაცხადა წლიური საიჯარო ქირის 300 (სამასი) ლარის გადახდაზე.

მოთხოვნილ ტერიტორიაზე კონდენციონერის აგრეგატის განთავსებასთან დაკავშირებით, პოზიცია ეთხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს.მათი წერილობითი პოზიციით, საკითხს მიეცა დადებითი შეფასება. საკითხთან დაკავშირებით ასევე წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილობითი პოზიცია, რომლის თანახმად სამსახური არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის სარგებლობის უფლებით განკარგვასთან დაკავშირებით, კონდენციონერის აგრეგატის განთავსების მიზნით.

წარმოდგენილი პროექტით, განიხილება თამაზ ლონდარიძისთვის იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით, კონდენციონერის აგრეგატის განთავსების მიზნით, უძრავი ქონების: ქ. თბილისში, აბანოს ქუჩა N15/6-ში არსებული 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.063.061) 5 წლის ვადით გადაცემის საკითხი. წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება 300 (სამასი) ლარით.

მომხრე-6 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქ. თბილისში, აბანოს ქუჩა N15/6-ში არსებული 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.063.061) პირდაპირი განკარგვის წესით თამაზ ლონდარიძისთვის (პ/ნ: 01027000350) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქ. N39-ის მიმდებარედ არსებული 21 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.048.036) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კალა უბანი ჰოსფიტალითისთვის“ (ს/ნ: 404737148) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქ. N39-ის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.048.035) მიმდებარედ არსებული 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთი იჯარის ფორმით გადაცემა, შპს „კალა უბანი ჰოსფიტალითის“ ღია კაფეს მოსაწყობად. აღნიშნული კომპანია იჯარის უფლებით ფლობს მიმდებარე უძრავ ქონებას (საკადასტრო კოდი: N01.18.03.048.035), 2029 წლის 23 დეკემბრამდე ვადით.

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ქალაქ თბილისის მერიადი მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 03.04.2025წ. გადაწყვეტილება, რომლითაც, დადებითი შეფასება მიეცა მოთხოვნილი 23 კვმ მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის საკითხს, ღია კაფეს განთავსების მიზნით. სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის წინააღმდეგი, მხოლოდ მსუბუქი მაგიდები და სკამების განთავსებით, ყოველგვარი შემომზღუდავი ელემენტების გარეშე.

მოთხოვნილ ტერიტორიაზე, თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდა 21 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.18.03.048.036).

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, 21 კვ.მ მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2025 წლის 27 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 6300 ლარის ოდენობით, რაც მისაღებად მიიჩნია კომპანიამ, 21 კვ.მ მიწის ნაკვეთი იჯარით გადაცემა ხდება 2029 წლის 23 დეკემბრამდე ვადით.

მომხრე-6 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქ. N39-ის მიმდებარედ არსებული 21 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.048.036) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კალა უბანი ჰოსფიტალითისთვის“ (ს/ნ: 404737148) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N20-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.008.037) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ღვინაძე და პარტნიორებისთვის“ (ს/ნ: 205294545) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქ.თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N20-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.14.11.008.037), სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, შპს „ღვინაძე და პარტნიორებს“ ღია კაფეს მოწყობის მიზნით. წარმოდგენილი საჯარო რეესტრიდან ამონაწერების მიხედვით, აღნიშნული კომპანიის საკუთრებაშია ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N20-ში მდებარე N01.14.11.008.003.01.008 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება. კომპანიამ თანხმობა განაცხადა წლიური საიჯარო ქირის 5 280 ლარის გადახდაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ტერიტორიას ფაქტობრივად ფლობს 2024 წლის 11 დეკემბრიდან, რის გამოც ხელშეკრულებით გათვალისწინებული იქნება იჯარის ხელშეკრულების გაფორმებამდე სრული პერიოდისთვის იჯარის საგნით ფაქტობრივად სარგებლობის საფასური, 1 დღეზე - 14.50 ლარი.

მომხრე-6 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N20-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.008.037) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ღვინაძე და პარტნიორებისთვის“ (ს/ნ: 205294545) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი N4-ში მდებარე 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.17.011.057) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „4 პეკინისთვის“ (ს/ნ 404883337) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი N4-ში მდებარე, აღნიშნული კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.10.17.011.027) მიმდებარედ 5 კვ.მ მიწის ნაკვეთი იჯარით გადაცემა კომპანიას, კიბის მოწყობის მიზნით.

თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის მოთხოვნილი 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის წინააღმდეგი. თუმცა, მათი პოზიციით, კიბის მოწყობის მიზნით მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის იჯარით განკარგვა უნდა აკმაყოფილებდეს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 34-ე მუხლის მოთხოვნებს.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემას 5 (ხუთი) წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 720 (შვიდას ოცი) ლარის ოდენობით.

მომხრე-6 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი N4-ში მდებარე 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.17.011.057) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „4 პეკინისთვის“ (ს/ნ 404883337) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გრიგოლ რობაქიძის გამზირი N7გ-ში მდებარე 93 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.04.004.088) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გრინ თაუნ დეველოპმენტისთვის“ (ს/ნ 402050588) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, გრიგოლ რობაქიძის გამზირი N7გ-ში მდებარე, აღნიშნული კომპანიის მშენებარე ობიექტის (საკადასტრო კოდი: N01.13.04.004.032) მიმდებარედ 100 კვ.მ მიწის

ნაკვეთის იჯარით გადაცემა კომპანიას, პანდუსის მოწყობის მიზნით, 2 წლით. იჯარით მოთხოვნილ 100 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მოსაწყობი პანდუსი საერთო საზოგადოებრივი სარგებლობის ტროტუარს წარმოადგენს. იჯარით მიღების შემდგომ არ იქნება გამოყენებული მხოლოდ მიმდებარე მშენებარე ობიექტისთვის და იჯარის საგანი და მასზე მოწყობილი პანდუსი (ტროტუარი) გამიზნული იქნება საერთო საზოგადოებრივი სარგებლობისთვის, შეუზღუდავად. მომხსენებელმა განმარტა, რომ წარმოდგენილი პანდუსი (ტროტუარი) გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილ სამშენებლო ობიექტის პროექტში.

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური არ არის მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის წინააღმდეგი.

განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი 100 კვ.მ მიწის ნაკვეთის არეალში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდა 93 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.13.04.004.088).

განკარგულების პროექტი ითვალისწინებს 93 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემას 2 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 11160 ლარის ოდენობით.

მომხრე-6 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისში, გრიგოლ რობაქიძის გამზირი N78-ში მდებარე 93 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.04.004.088) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გრინ თაუნ დეველოპმენტისთვის“ (ს/ნ 402050588) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N75-79-ის მიმდებარედ არსებული 1074 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.04.013.051) 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იათამზე ვერულაშვილისთვის (პ/ნ 01008004718) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N75-79-ის მიმდებარედ არსებული 1074 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.04.013.051) 4 კვ.მ მიწის ნაკვეთი იჯარით გადაცემა იათამზე ვერულაშვილს. აღნიშნული პირის საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. N3-ში მდებარე ფართი (ს/კ: 01.14.04.013.006.01.504). ამავე დროს მასზე იჯარით იყო გადაცემული 3 კვ.მ მიწის ნაკვეთი, კიბის უჯრედის მოწყობის მიზნით, აღნიშნული იჯარა ვადაგასულია.

სააგენტოში წარმოდგენილი თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის წინააღმდეგი. შესაძლებლად მიიჩნია მოთხოვნილი 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმაც

სიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, მოთხოვნილი 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2025 წლის 1 მაისი მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 576 ლარის ოდენობით.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემას 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 576 ლარის ოდენობით.

მომხრე-6 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N75-79-ის მიმდებარედ არსებული 1074 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.04.013.051) 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იათამზე ვერულაშვილისთვის (პ/ნ 01008004718) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, გიორგი აბაშვილის ქუჩა N9-ის მიმდებარედ არსებული 4 813 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.19.004.118) და ქალაქ თბილისში, აბაშვილის ქუჩა N7-ის მიმდებარედ არსებული 343 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.19.19.004.110) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წერილის თანახმად, განიხილება ქალაქ თბილისში, კოსმონავტების სანაპიროზე და რაფაელ აგლადის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.05.010.082; N01.13.05.010.071; N01.13.05.010.080 და N01.13.05.010.019) სარეკრეაციო სივრცის მოწყობა და სააგენტოს ეთხოვა აღნიშნული სარეკრეაციო სივრცის მოწყობის მიზნებიდან გამომდინარე კერძო საკუთრებაში არსებული უძრავ ქონებებთან მიმართებით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილის შესაბამისად, ქალაქგეგმარებით თვალსაზრისით შესაძლებლად მიაჩნია N01.19.19.004.118 და N01.19.19.004.110 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონებების გაცვლის ფორმით პრივატიზების სანაცვლოდ ქალაქ თბილისში, რაფაელ აგლადის ქუჩა N8-ში მდებარე 2474 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.13.05.010.082) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემა. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.19.19.004.118 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 23 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 225 498 ლარს და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.19.19.004.110 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ შეადგენს 314 835 ლარს. ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის თანახმად, სალომე მამალაძის საკუთრებაში N01.13.05.010.082 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 23 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 4 247 858 ლარს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების (საკადასტრო კოდები: N01.19.19.004.118 და N01.19.19.004.110) ჯამური საბაზრო ღირებულება, 52 141 ლარის ოდენობით აღემატება სალომე მამალაძის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.05.010.082) საბაზრო ღირებულებას. შესაბამისად, N01.19.19.004.118 და N01.19.19.004.110 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრება 52 141 ლარი.

მომხრე-5 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა- მიხელ კაკაურიძემ

გადაწყდა:“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, გიორგი აბაშვილის ქუჩა N9-ის მიმდებარედ არსებული 4 813 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.19.004.118) და ქალაქ თბილისში, აბაშვილის ქუჩა N7-ის მიმდებარედ არსებული 343 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.19.19.004.110) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში არსებული 966 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.13.023.036) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ფიზიკური პირის იოსებ ღაჭავას წარმომადგენელმა, განცხადებით მომართა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა თბილისში, ყიფშიძის ქუჩაზე არსებული 609 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი 01.14.14.003.092) ადგილმონაცვლეობა, თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული , ფონიჭალის დასახლებაში არსებულ 966 კვმ (საკ/კოდი 01.18.13.023.036) მიწის ნაკვეთში.

მომხსენებლის განმარტებით, მოქალაქის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მოწყობილია საზოგადოებრივი სივრცე(სკვერი) და დამონტაჟებულია ნაგვის ურნები.

წარმოდგენილია ვაკის გამგეობის წერილი, რომლითაც გამგეობა წინააღმდეგი არ არის მიწის ნაკვეთის ადგილმონაცვლეობის და ამასთან გამოთქვამს მზადყოფნას მითითებულ მისამართზე (ყიფშიძის ქუჩაზე) განახორციელოს არსებული სკვერის რეაბილიტაცია.

ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსაც შესაძლებლად მიაჩნია მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი 01.18.13.023.036) გაცვლა, 01.18.13.023.045 საკადასტრო ერთეულთან მისასვლელი გზის უზრუნველყოფის პირობით.

ორივე მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება დაადგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ. საკ/კოდი 01.14.14.003.092-ით რეგისტრირებული მოწოს ნაკვეთის მთლიანმა საბაზრო ღირებულებამ 2025 წლის 17 ივნისის მდგომარეობით შეადგინა 299 019 ლარი, ხოლო საკ/კოდი 01.18.13.023.036-ით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ღირებულებამ შეადგინა 237 636 ლარი. კერძო

საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ღირებულება 61 383 ლარით მეტია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის ღირებულებაზე, თუმცა ალექსანდრე კვირკველია განცხადებით აცხადებს, რომ ფასთა შორის სხვაობასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მიმართ პრეტენზია არ ექნება.

კომსიის სხდომაზე, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია განკარგულების პროექტზე დანართის სახით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტიდან ამოღებულ იქნას საპრივატიზებო პირობა: „N01.18.13.023.036 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის განკარგვა (გაცვლა) განხორციელდეს N01.18.13.023.045 საკადასტრო ერთეულთან სრულყოფილი მისასვლელი გზის უზრუნველყოფის პირობით“, იმ საფუძველით, რომ აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე მდებარე მიწის ნაკვეთთან მისასვლელი გზის მოწყობა, ასეთის საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.18.13.023.047) საშუალებით.

მომხრე- 5 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა- მიხელ კაკაურიძემ

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ია ოთარაშვილს (პ/ნ: 01017039663) შორის, 2021 წლის 14 აპრილს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-579-9-26137 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ია ოთარაშვილს შორის, 2021 წლის 14 აპრილს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-579-9-26137 ხელშეკრულების საფუძველზე, აუქციონის წესით, მყიდველს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, დოდობერიძის ქუჩა №42-ში მდებარე 1887 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.18.13.037.114 (ახალი კოდი: 01.18.13.037.234; 01.18.13.037.235 და 01.18.13.037.236). ქონების განკარგვა განხორციელდა შემდეგი სააუქციონო პირობით - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, მიმდებარე არეალთან ერთად“.

მყიდველმა 2024 წლის 27 სექტემბრს განცხადებით მიმართა სააგენტოს და მოითხოვა ქონებაზე არსებული პირობის („მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, მიმდებარე არეალთან ერთად“) გაუქმება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 14 სექტემბრის წერილით განაშენიანების რეგულირების გეგმის დასამუშავებელ არეალად განესაზღვრა 01.18.13.037.115 საკადასტრო ერთეული, რომლის თანამესაკუთრებლაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტთან ერთად წარმოადგენდნენ ფიზიკური პირები. ვინაიდან ფიზიკური პირების ნებას არ წარმოადგენდა მყიდველის მიერ ქონების განვითარება, შეუძლებელი გახდა განაშენიანების რეგულირების გეგმაზე მუშაობა.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილით, მყიდველს ეცნობა რომ სააგენტოს შესაძლებლად მიაჩნია №01.18.13.037.029 საკადასტრო ერთეულის განვითარებაზე მსჯელობა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ფარგლებში სარეკრეაციო ზონა 2 რეგლამენტით. საპროექტო არეალს წარმოადგენდა №01.18.13.037.029 საკადასტრო ერთეულის ნაწილი (დაახლოებითი ფართობი 10 594 კვ.მ).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მყიდველი ითხოვს ხელშეკრულების მისადაგებას შეცვლილი გარემოებებისადმი და სააუქციონო პირობის „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, მიმდებარე არეალთან ერთად“ გაუქმებას.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიიჩნია ზემოხსენებული პირობის გაუქმება.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 30 მაისის №5003111625 წერილის შესაბამისად, ვინაიდან ქონების განკარგვის დროისათვის სამხარაულის მიერ მომზადებულ დასკვნაში დაფიქსირებულ მთლიან საბაზრო ღირებულებაში (188 700 (ას ოთხმოცდარვა ათას შვიდასი) ლარი) არ იყო გათვალისწინებული პირობა, მისი გაუქმება არ იწვევს ქონების საპრივატიზებო საფასურსა და სააუქციონო პირობის გარეშე ქონების საბაზრო ღირებულებას შორის სხვაობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია პირობებით გამოცხადებული აუქციონის 2021 წლის 14 აპრილის №ე-579-9-26137 ხელშეკრულებით განკარგულ ქონებაზე ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, მიმდებარე არეალთან ერთად“ - გაუქმება.

გადაწყდა: “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ია ოთარაშვილს (პ/ნ: 01017039663) შორის, 2021 წლის 14 აპრილს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ფ-579-9-26137 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე”, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „გრანდ თაუერს“ (ს/ნ 405269891) შორის 2021 წლის 29 დეკემბერს გაფორმებულ „ქ. თბილისში, იოანე პეტრიწის ქუჩის ბოლოს მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.06.001.263 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2010 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „გრანდ თაუერს“ შორის გაფორმდა „ქ. თბილისში, იოანე პეტრიწის ქუჩის ბოლოს მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.06.001.263 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2010 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ყოფილი კონკრეტული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებმა/მათმა უფლებამონაცვლებმა, ზემოხსენებული განკარგულებების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, სრულად განაცხადეს უარი მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე.

ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანიის მიერ კოოპერატივის წევრებისთვის გადასაცემი საცხოვრებელი ფართის ჯამური ოდენობა შეადგენს **1750 კვ.მ-ს**.

აღნიშნული ხელშეკრულების 3.1. პუნქტის თანახმად: „მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებას სააგენტო და კოოპერატივის წევრები საკუთრებაში გადასცემენ კომპანიას იმ პირობით, რომ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და ვადებში, კომპანია შესაბამისი სამშენებლო ნებართვ(ებ)ის საფუძველზე განახორციელებს საცხოვრებელი ფართების მშენებლობას და შესაბამისი ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით, კოოპერატივების წევრებს გადასცემს საკუთრების უფლებას ამ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე, შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვებიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში, ხოლო შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობის დასრულებისათვის გათვალისწინებულ ვადაში, აღნიშნულ ფართებს გადასცემს მათ ფაქტობრივად ე.წ. „თეთრი კარკასის“ მდგომარეობით.“

ამასთან, ხელშეკრულების 3.5. პუნქტის მიხედვით: „კომპანია ვალდებულია პროექტით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის მოპოვებიდან არაუგვიანეს 36 (ოცდათექვსმეტი) თვის ვადაში.“

გარდა ამისა, ხელშეკრულების 6.1.6. ქვეპუნქტის თანახმად განსაზღვრულია შემდეგი: „ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში მშენებლობის დასრულების, კოოპერატივის წევრებისა და სააგენტოს/სააგენტოს მიერ განსაზღვრული სხვა პირ(ებ)ისათვის შესაბამისი საცხოვრებელი ფართებზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის, ექსპლუატაციაში მიღებისა და საცხოვრებელი ფართების ფაქტობრივად გადაცემის ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში, კოოპერატივის წევრები უფლებამოსილნი არიან კომპანიას დააკისრონ პირგასამტეხლო მათთვის გადასაცემი შესაბამისი ფართის (დასრულებულ მდგომარეობაში) საბაზრო ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ვალდებულების სრულად შესრულებამდე.“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ოფიციალურ საიტზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, კომპანიის მიერ ს/კ N01.10.06.001.263 მიწის ნაკვეთზე მოპოვებულია მშენებლობის ნებართვა არქიტექტურის სამსახურის ბრძანებით, რომლის მიხედვითაც მშენებლობის ვადა განსაზღვრულია 2023 წლის 14 ივნისიდან **2025 წლის 14 ივნისის ჩათვლით**, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

კომპანიამ, სააგენტოს მიმართა განცხადებით და მოითხოვა მშენებლობის დასრულების განსაზღვრული ვადის გახანგრძლივება **არაუგვიანეს 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით**. მითითებული განცხადებით კომპანიამ განმარტა, რომ ფაქტობრივი მდგომარეობით დასრულებულია 12 (თორმეტი) სართულიანი შენობა-ნაგებობის მონოლითური კარკასი და მისი გადახურვაც, კალენდარულ გეგმაში ცვლილება განაპირობა

შენობაში (სართულებზე) წყლის მრიცხველების სამონტაჟო სამუშაოების წარმოების პროცესში. კომპანია აღნიშნავს, რომ საკითხთან დაკავშირებით მიმართული აქვს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერისდამი“ წერილით და მრიცხველების მონტაჟის სამუშაოების საწარმოებლად, შესაბამისი ოდენობის თანხაც დაფარული/გადარიცხული აქვთ თუმცა, მათგან საბოლოო თანხმობა საკითხთან დაკავშირებით არ მიუღიათ. კომპანია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თუკი ხსენებული მრიცხველების მონტაჟი არ დასრულდა, ვერ მოხერხდება მოჭიმული იატაკის დასხმა, ვერ გაგრძელდება კედლების შელესვითი სამუშაოები და ვერ განხორციელდება, ვერც შემდგომი ეტაპი, კაფელ-მეთლახის დაგების სამუშაოები. ამასთან, განცხადებაში აღნიშნულია, რომ ასევე, დასასრულებელია შიდა გაყვანილობების სამუშაოები.

მომხრე-6 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „გრანდ თაუერს“ (ს/ნ 405269891) შორის 2021 წლის 29 დეკემბერს გაფორმებულ „ქ. თბილისში, იოანე პეტრიწის ქუჩის ბოლოს მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.06.001.263 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2010 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე,“ საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალმას“ (ს/ნ: 204873388) შორის 2020 წლის 18 ივნისს გაფორმებულ „ფეხით გადასასვლელი ხიდების მშენებლობის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების შესახებ

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალმას“ (ს/კ: 204873388) შორის 2020 წლის 18 ივნისს გაფორმებული „ფეხით გადასასვლელი ხიდების მშენებლობის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაეცა ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონება, მასზე 15 (თხუთმეტი) ერთეული ფეხით გადასასვლელი ხიდის მშენებლობის მიზნით. ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას ხელშეკრულების ფარგლებში დადგმულ ხიდებზე აქვს გარე რეკლამის განთავსების უფლება, რომელიც თითოეულ უძრავ ქონებაზე მოქმედებს მასზე ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებიდან (მაგრამ არაუმეტეს ამისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან) 25 (ოცდახუთი) წლის ვადით. ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის საფასური შეადგენს 2 000 ლარს, რაც კომპანიის მიერ გადახდილია.

ხელშეკრულებით კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის:

ხიდების მშენებლობის მიზნით, 10 000 000 (ათი მილიონი) ლარის ინვესტირება **(4.1 პუნქტი);**

მოიპოვოს ნაგებობების მშენებლობის ნებართვა (საჭიროების შემთხვევაში, უძრავ ქონებაზე არსებული ხიდების დემონაჟის ნებართვის ჩათვლით) ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებულ შესაბამის ვადებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით **(5.1.2 ქვეპუნქტი);**

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უზრუნველყოს უძრავ ქონებაზე ან მის მიმდებარედ არსებული ხიდების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დემონტაჟი, თითოეული და ყველა ნაგებობის მშენებლობის დასრულება ხელშეკრულების დანართი 1-ით გათვალისწინებულ შესაბამის ვადებში, ხოლო ექსპლუატაციაში მიღება - მათი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრულ შესაბამის ვად(ებ)ის ამოწურვიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში **(5.1.3 ქვეპუნქტი).**

კომპანიამ, 2025 წლის 11 ივნისის წერილით აცნობა სააგენტოს ხელშეკრულების დანართი №1-ის №13 და №15 ქვეპუნტებით გათვალისწინებული ხიდების ექსპლუატაციაში მიღების მიზნით სამუშაოების მიმდინარეობის დროს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაზე, რა დროსაც დაზიანდა აღნიშნული ხიდების ნაგებობები. კომპანია განცხადებაში აღნიშნავს, რომ სფეროს სპეციალისტების ჩართულობით დაიწყო ხიდების დაზიანების შეფასების პროცესი და მათი აღდგენისთვის (დაზიანებების აღმოფხვრისთვის) გასატარებელი ღონისძიებების შემუშავება/განხორციელება. თუმცა, აღნიშნული პროცესის მიმდინარეობისას (დასრულებამდე) კვლავ არაერთხელ განმეორდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები და სავარუდოდ არაგაბარიტული ტვირთის ტრანსპორტირებისას, შეჯახებების შედეგად ხიდის კონსტრუქციებმა დამატებითი დაზიანებები მიიღეს.

კომპანია აღნიშნავს, რომ დარგის სპეციალისტებისა და სამშენებლო-კონსტრუქციული სამუშაოების შემსრულებელი ორგანიზაციების შეფასების თანახმად, ხიდების კონსტრუქციების რეაბილიტაცია ადგილზე შეკეთებით შეუძლებელია და უნდა მოხდეს მათი სრული ან/და ნაწილობრივი დემონტაჟი, კონსტრუქციების სააქროში გადატანა, არსებითი კონსტრუქციული სამუშაოების წარმართვა და ხელახალი მონტაჟის განხორციელება.

ამასთან, მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევებისა და პრაქტიკაში გამოვლენილი რისკების გათვალისწინებით, კომპანიამ, მიუხედავად დამატებითი ხარჯებისა, მიიღო გადაწყვეტილება განახორციელოს ხიდების კონსტრუქციების სიმაღლის გაზრდა ზედაპირიდან (ასფალტის საფარიდან) მაღის ნაშენამდე არანაკლებ 5 მეტრამდე, რათა სატრანსპორტო შემთხვევების რისკი შემცირებულ იქნეს. შესაბამისად, კომპანიამ მიმართა სააგენტოს ხელშეკრულების დანართი №1-ის მე-13 და მე-15 პუნქტებით გათვალისწინებული ხიდების ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2026 წლის 30 ივნისი (ნაცვლად 2025 წლის 30 ივნისისა).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული და მისგან გამომდინარე რიგი საკითხების ურთიერთშეთანხმების გზით დარეგულირების მიზნით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული აღნიშნული განკარგულების დანართით გათვალისწინებული შეთანხმების პირობების შესაბამისად, ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა.

მომხრე-6 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალმას“ (ს/ნ: 204873388) შორის 2020 წლის 18 ივნისს გაფორმებულ „ფხვით გადასასვლელი ხიდების მშენებლობის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების შესახებ“, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ნ.გ.ბ.“-ს (ს/ნ: 405193678) შორის 2024 წლის 24 ივლისს გაფორმებული „ქალაქ თბილისში შპს „ათორის“ (ს/ნ: 405077633) და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ მშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებული პირების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „ნ.გ.ბ.“-ის გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ნ.გ.ბ.“-ს (ს/ნ: 405193678) შორის 2024 წლის 24 ივლისს გაფორმდა „ქალაქ თბილისში შპს „ათორის“ (ს/ნ: 405077633) და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ მშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებული პირების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება.

ხელშეკრულების 2.1 პუნქტის თანახმად, საპრივატიზებო ქონებას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა №36-ში და მის მიმდებარედ არსებული ჯამურად 16871 კვ.მ ფართობის მქონე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 3 (სამი) მიწის ნაკვეთი (ს/კ №01.10.10.007.061, №01.10.10.007.080 და №01.10.10.007.081).

ხელშეკრულების 4.1 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების საგანია მთავრობის მიერ, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საპრივატიზებო ქონების მყიდველისათვის საკუთრებაში გადაცემა, მყიდველის მიერ საპრივატიზებო ქონებაზე შესაბამისი სამშენებლო პროექტის განხორციელება და პროექტის ფარგლებში, უპირატესად შპს „ათორის“ (ს/ნ: 405077633) და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ მშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებული პირების (შემდგომში: დაზარალებული პირები) საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის მიზნით.

ხელშეკრულების 5.7.1 პუნქტის თანახმად, მყიდველი ვალდებულია, საპრივატიზებო ქონებაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 9 (ცხრა) თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ვინაიდან, ხელშეკრულება გაფორმდა 2024

წლის 24 ივლისს, შესაბამისად, მყიდველს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება უნდა განეხორციელებინა არაუგვიანეს 2025 წლის 24 აპრილისა, თუმცა, წარმოდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ საპრივატიზებო ქონებაზე განაშენიანების რეგულირების გეგმა დამტკიცდა 2025 წლის 20 მაისს, ხელშეკრულების 5.7.1 პუნქტით განსაზღვრული ვადის დარღვევით (26 დღის დაგვიანებით).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულების 8.1 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, თითოეული დარღვევისთვის, მყიდველს ეკისრება სააგენტოს მიმართ პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება. პირგასამტეხლო მყიდველს დაეკისრება ვალდებულების დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ვალდებულების სრულად შესრულებამდე/დარღვევის აღმოფხვრამდე ან ხელშეკრულების შეწყვეტამდე (რომელიც უფრო ადრე დადგება).

მოცემულ შემთხვევაში, ხელშეკრულების 8.1.3 პუნქტის თანახმად, ამავე ხელშეკრულების 5.1.7 პუნქტით დადგენილი ვადის დარღვევისთვის, პირგასამტეხლოს დღიური ოდენობა შეადგენს საბანკო გარანტიის საგარანტიო თანხის სავალდებულო ოდენობის (ხელშეკრულების 7.4 პუნქტის გათვალისწინებით), 6 000 000 ლარის 0.1% (8.1.3 პუნქტი), რაც განსაზღვრულ შემთხვევაში შეადგენს 6000 ლარს დღეზე. აღნიშნული დარღვევა გამოწვეული იყო მათგან დამოუკიდებელი მიზეზებით, კერძოდ, იმის გათვალისწინებით, რომ საპრივატიზებო ქონებაზე და მის მიმდებარედ გაედინება არაერთი წყალსადენი მილი, რომელთა შესახებ ზუსტი ინფორმაციის დასადგენად წყალმომარაგების კომპანიას (შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“) დასჭირდა სამუშაოების აღგებზე ჩატარება (შურფირება), შესაბამისად, წყალმომარაგების კომპანიის მიერ პოზიციის მოწოდება გაჭიანურდა, რამაც ასევე შეაფერხა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცება.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, მყიდველმა ითხოვა ხელშეკრულების პირობის დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება.

იმის გათვალისწინებით, რომ საპრივატიზებო ქონებაზე განაშენიანების რეგულირების გეგმა ხელშეკრულების 5.7.1 პუნქტის თანახმად უნდა დამტკიცებულიყო არაუგვიანეს 2025 წლის 24 აპრილისა, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №196 განკარგულების თანახმად დამტკიცდა 2025 წლის 20 მაისს, ხელშეკრულების 8.1.3 პუნქტის შესაბამისად მყიდველს დაეკისრა პირგასამტეხლო 2025 წლის 25 აპრილიდან 2025 წლის 20 მაისის ჩათვლით პერიოდზე (26 დღე), ჯამში - 156 000 (ას ორმოცდათექვსმეტი ათასი) ლარის ოდენობით.

წარმოდგენილი პროექტით განიხილება ხელშეკრულების 5.7.1 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის, ამავე ხელშეკრულების 8.1.3 პუნქტის შესაბამისად დაკისრებული, ჯამურად - 156 000 (ას ორმოცდათექვსმეტი ათასი) ლარის ოდენობით პირგასამტეხლოსგან შპს „ნ.გ.ბ.“-ის (ს/ნ: 405193678) გათავისუფლების საკითხი.

მომხრე-6 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ნ.გ.ბ.“-ს (ს/ნ: 405193678) შორის 2024 წლის 24 ივლისს გაფორმებული „ქალაქ თბილისში შპს „ათორის“ (ს/ნ: 405077633) და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ მშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებული პირების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „ნ.გ.ბ.“-ის გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ლადო გუდიაშვილის მოედანი N7/ბეგლარ ახოსპირელის ქ. N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.03.052.001) მდებარე ფართების პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „დამოუკიდებელი კინო პროექტისთვის“ (ს/ნ 405378167) თხოვნების ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მომართა საპროდუქტო კომპანიის - შპს „დამოუკიდებელი კინო პროექტის“ (ს/ნ 405378167) დირექტორმა და ითხოვა ქალაქ თბილისში, ლადო გუდიაშვილის მოედანი N7/ბეგლარ ახოსპირელის ქ. N2-ში (საკადასტრო კოდი: 01.18.03.052.001) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარკვეული ფართების ღრობით სარგებლობაში გადაცემა. განმცხადებელი განმარტავს შემდეგს:

2025 წლის მარტში წარმოებაში შევიდა 2024 წელს სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების ქართულ-უცხოური ერთობლივი პროდუქციის წარმოების კონკურსის გამარჯვებული ფილმის პროექტი - „ახალგაზრდა სტალინი“, რომლის რეჟისორია გელა ბაბლუანი. აღნიშნული ფილმი წარმოადგენს ერთობლივ ნამუშევარს (co-production) კოპროდუქციას საქართველოს, ბრიტანეთის და ლატვიის ქვეყნებს შორის. საქართველოს მხრიდან, პროექტი არის სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის და სსიპ - „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის - „გადაიღე საქართველოში“ - ბენეფიციარი. ბრიტანეთის მხრიდან პროექტში ჩართულია კომპანია „F&ME“, ხოლო ლატვიის მხრიდან - კომპანია „NAFTA“. პროექტს მიღებული აქვს ბრიტანეთის კინო ინსტიტუტის - „BFI“ (British Film Institute) და ლატვიის ეროვნული კინოცენტრის დაფინანსება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ფილმის პროექტის წარმოებაზე მუშაობა და დაწყებულია წინა მოსამზადებელი პერიოდი. ფილმის გადაღება იგეგმება თბილისსა და ლატვიაში, 2025 წლის ივნისიდან ოქტომბრის ჩათვლით.

განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ფილმის გადასაღებად ესაჭიროებათ ქალაქ თბილისში, ლადო გუდიაშვილის მოედანი N7/ბეგლარ ახოსპირელის ქ. N2-ში (ს/კ N01.18.03.052.001) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ყველა ფართი. განცხადების თანახმად, ფილმის გადაღებისთვის საჭირო ფართები მომზადდება გადასაღებად, შესაბამისი სახით. ხოლო, გადაღების შემდეგ განხორციელდება დემონტაჟი. განმცხადებელმა ასევე აღნიშნა, რომ მათ მიერ უზრუნველყოფილი იქნება დროებით სარგებლობაში გადმოცემული უძრავი ქონების კომუნალური გამრიცხველიანება (ელექტროენერგიის და წყლის) და აღნიშნულთან დაკავშირებით მოითხოვა ნებართვა.

ფილმის საპროდიუსერო კომპანია - შპს „დამოუკიდებელ კინო პროექტი“ (ს/ნ 405378167) მოითხოვს აღნიშნული ფართების დროებით სარგებლობაში, თხოვების ფორმით გადაცემას 2025 წლის 1 ნოემბრამდე ვადით.

კინოინდუსტრიის სფეროს განვითარებისა და ამ სფეროს წარმომადგენელთა მხარდაჭერისა და ხელშეწყობის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 04.06.2025წ. N25.928.1040 განკარგულებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ქალაქ თბილისში, ლადო გუდიაშვილის მოედანი N7/ბეგლარ ახოსპირელის ქ. N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.03.052.001) მდებარე გარკვეული ფართების პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „დამოუკიდებელი კინო პროექტისთვის“ (ს/ნ 405378167) თხოვების ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.

მომხრე-6 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: „ქალაქ თბილისში, ლადო გუდიაშვილის მოედანი N7/ბეგლარ ახოსპირელის ქ. N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.03.052.001) მდებარე ფართების პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „დამოუკიდებელი კინო პროექტისთვის“ (ს/ნ 405378167) თხოვების ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე**



ლევან არველაძე